პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 116 (1286) ○ კვირა, 28 სექტემბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.



სურათზე: წყალბურთში საერთაშორისო მატჩის შესვენების დროს თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი რ. ჩაჩავა მითითებას აძლევს წყალბურთელებს. მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვ.

ითამაშებენ ფინალში

ბათუმის ნახევარფინალის დასკვნით, XIII ტურში გაფრინდაშვილმა კარგ სტილში გაიმარჯვა ვიტკოვსკაიასთან. წარმატებით ითამაშა აგრეთვე ტიხომიროვამ, რომელმაც ადვილად მოუგო ვენდროვას. მანევრული თამაშის შემდეგ ყაიმით დამთავრდა ჩაიკოვსკაია-ლებედევას პარტია.

მეოთხე ადგილისთვის ერთმანეთს ეცილებოდნენ სტრანდსტრემი და კაუშილაიტე. დიდი აღმავლობით იბრძოდა სტრანდსტრემი, რომელიც სუსლინას ეთამაშებოდა. —პარტია ორ დღეს გაგრძელდა და მისი გამარჯვებით დამთავრდა. კაუშილაიტე-კარტანაიტეს შეხვედრა ყაიმით აღინიშნა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ლაუბერტე-ლიაპუნოვასა და შადურა-ეოიცევის პარტიებში.

ამრიგად, დამთავრდა ბათუმის ნახევარფინალი. მისი შედეგები ასეთია: ნ. გაფრინდაშვილი — 10,5 ქულა, ვ. ტიხომიროვა (მოსკოვის ოლქი) — 10 ქულა, ა. ჩაიკოვსკაია (ბათუმი) — 8,5 ქულა, თ. სტრანდსტრემი (მოსკოვი) — 8 ქულა. ამ მოჭადრაკეებმა მოიპოვეს ფინალში მონაწილეობის უფლება.

. . .

პოლტავაში დამთავრდა საკავშირო ნახევარფინალური შეჯიბრება ჭადრაკში ქალთა შორის. აქ ფინიშამდე წარმატებით იბრძოდა ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონი მ. ტოგონიძე, რომელმაც წაუგებლად ჩაატარა ტურნირი, 13 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა და მოიპოვა პირველი ადგილი. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ფილანოვსკაია და იგნატიევა. მათ გარდა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა, აგრეთვე კიეველმა მალინოვამ, რომელმაც 8 ქულით დაამთავრა ტურნირი.

სახელოვანი იუბილე

ერთი თვის შემდეგ, 29 ოქტომბერს ჩვენი სამშობლოს სახელოვანი ახალგაზრდობა, მთელი საბჭოთა ხალხი დიდი ზეიმით აღნიშნავს სრულიად საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის მე-40 წლისთავს. ამ სიცოცხლით სავსე ორგანიზაციას საფუძველი ჩაუყარა გენიალურმა ლენინმა და ამიტომაა, რომ იგი მის სახელს ატარებს.

თავისი დაარსების პირველი დღეებიდანვე ფართო და ნაყოფიერი საქმიანობა გააჩაღა სახელოვანმა კომკავშირმა, რომელიც იყო, არის და იქნება ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე, მისი ყველა დავალების ცხოვრებაში განუხრელად გამტარებელი. დიდია კომკავშირის დამსახურება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საქმეში. საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში კომკავშირმა საბჭოთა ხალხის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. საბჭოთა სახელმწიფომ ჯეროვნად დააფასა ლენინური კომკავშირის მრავალმხრივი საქმიანობა. იგი 5 ორდენითაა დაჯილდოებული.

და აი ახლოვდება ლენინური კომკავშირის ხაუბილეო თარიღი. ამ ღირსსახსოვარი დღესასწაულისთვის ენერგიულად ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობათა, დაწესებულებათა გოგონები და ჭაბუკები, რომლებიც ჩაებნენ სადღესასწაულო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ივალდებულეს, რომ 29 ოქტომბრისათვის შეასრულონ წლიური საწარმოო გეგმა, სხვადასხვა რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებით ქვეყანას მისცენ 15 მილიონი მანეთის ეკონომია. კომკავშირის მე-40 წლისთავის სასახელოდ შეხვედრისათვის თავდადებით შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავეები. განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა მეჩაიეებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს მოკრიფონ არა 75 ათასი ტონა, როგორც ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, არამედ 90 ტონა ჩაის ფოთოლი.

კომკავშირის მე-40 წლისთავის დღესასწაულში თავიანთი წვლილი შეაქვთ რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, სპორტსმენებს. უკვე მოეწყო და განხორციელდა მოეწყოს მრავალი საინტერესო სპორტული შეჯიბრებები, ავტო და ველოგადარბენები, სპორტული საღამოები და სხვა. თბილისის ლენინის სახელობის რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციამ კომკავშირის იუბილეს მიუძღვნა მოტოგადარბენა, ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ახალგაზრდები ველოსიპედებით გაემგზავრნენ აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში, მიმდინარეობს დედაქალაქის კომკავშირულ მუშაკთა სპარტაკიადა. მესტიელმა ახალგაზრდებმა იუბილეს მიუძღვნეს მასობრივი ალპინიადა და ერთ-ერთ დაპყრობილ უსახელო მწვერვალს უწოდეს სამამულო ომის გმირის ზოია რუხაძის სახელი.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის, რომ ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა მშთ და იმშთ ახალი კომპლექსის პროექტი. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ახალგაზრდების ფიზიკურად გაჭიანურების ეს შესანიშნავი საშუალება კომკავშირის თაოსნობითაა შემოღებული, მისი უშუალო დახმარებით დაინერგა იგი მასებში. ამ კომპლექსმა დიდი ცვლილებები განიცადა და ახლა კიდევ მოხდა მისი გაუმჯობესება. საჭიროა კომკავშირმა კვლავაც ითავოს ამ საქმის პოპულარიზაცია.

ლენინური კომკავშირი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის სული და გულია. იგი მორალურად, იდეურად აყალიბებს ახალგაზრდას, ამზადებს ახალი სპორტული მწვერვალების საიერიშოდ. ასე იყო დღიდან ამ შესანიშნავი ორგანიზაციის ჩასახვისა, ასეა ახლაც, როდესაც მთელი საბჭოთა კავშირის სპორტსმენები ემზადებიან ხალხთა II სპარტაკიადისათვის. ამიტომ საჭიროა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს კომკავშირული სპორტსმენის როლი გუნდებში, სექციებში, კოლექტივებში. საჭიროა კომკავშირელები იდგნენ ყველა შეჯიბრებისა და ღონისძიების ავანგარდში.

რესპუბლიკის ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო, შრომითი და სპორტული წარმატებებით შეეხვდეთ სახელოვანი კომკავშირის მე-40 წლისთავს!

ჭიდაობის საკავშირო სექციაში

თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის საკავშირო სექციამ მიიღო მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში შევა უახლოეს შეჯიბრებათა პრაქტიკაში. რაში მდგომარეობს სიახლე?

თუ ჭიდაობისათვის განკუთვნილი დროის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთ სპორტსმენს აქვს 7-ქულიანი და უფრო მეტი უპირატესობა, შეხვედრა ფასდება, როგორც აშკარა უპირატესობა — დამარცხებულს ეწერება 4, ხოლო გამარჯვებულს 0 საჯარიმო ქულა. აშკარა უპირატესობას განსაზღვრავენ გვერდითი მსაჯები და ჟიური ხმათა უმეტესობით.

მინდორზე გამოვლენ კვლავ მეტოქეები

დღეს მოსკოვსა და ბუდაპეშტში გაიმართება სსრ კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების მატჩები ფეხბურთში. დიდ ინტერესს იწვევს შეხვედრა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, სადაც ითამაშებენ პირველი გუნდები.

უნგრეთისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა შეხვედრებს საფუძველი ჩაეყარა 1954 წელს, როცა 90-წუთიანმა დაძაბულმა ბრძოლამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული — 1:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა შეხვედრა მომდევნო წელსაც. 1956 წელს უნგრელებმა დაამარცხეს თავიანთი მოწინააღმდეგე მოსკოვში მინიმალური ანგარიშით — 1:0, მაგრამ 1957 წელს საბჭოთა ფეხბურთელებმა რევანში აიღეს ბუდაპეშტში — 2:1. ამრიგად, ჩატარებული ოთხი მატჩის შედეგი ასეთია: ორი ფრე და თითო გამარჯვება, ბურთების საერთო შეფარდებით — 4:4.

სტუმრები მოსკოვში ასეთი შემადგენლობით ჩამოვიდნენ: მეკარეები ილკუ და კოვალიკი; მცველები — კარპატი, შიროში, შაროში; ნახევარმცველები — სოიკა, ბერენდი, თავდამსხმელები — ბუდაი, ჩორდაში, ტიხი, ბეჩიჩი და 18 წლის მარჯვენა შუამარბი გოროჩი, რომელიც პირველად თამაშობს ნაკრების შემადგენლობაში.

სსრკ—გფრ

მძლეოსანთა ამხანაგური შეხვედრა

აუგსბურგში (გფრ) „როზენაუს“ სტადიონზე მოეწყო საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა. საბჭოთა მძლეოსნებმა ორი დღის განმავლობაში მოიპოვეს 9 პირველი ადგილი, გერმანელებმა კი — 11. მატჩი (ვაჟთა შეხვედრა) დამთავრდა გფრ-ს მძლეოსანთა გამარჯვებით 115:105.

ქვემოთ მოგვყავს ტექნიკური შედეგები: 100 მ. ა. ჰარი — 10,3, მ. ჰერმარი — 10,4, ლ. ბარტენიევი — 10,6, ი. კონოვალოვი — 10,7, 400 მ. კ. კაუფმანი — 47,1, ი. კაიზერი — 47,4, ა. იგნატიევი — 48,4, ვ. რახმანოვი — 50,0. 1.500 მ. ვ. ბრენერი — 3.45,4, კ. ოსტახი — 3.45,5, ი. პიპინე — 3.48,0, ე. მომოტკოვი — 3.49,3. 5.000 მ. ლ. მიულერი — 14.06,8, ე. ეუკოვი — 14.10,6, ა. არტინიუკი — 14.13,8, გ. როტი — 14.30,2. 400 მ. თარჯრბენი ი. ლიტუევი — 51,3, ხ. იანცი — 51,4, ა. იულინი 52,1, ჰ. ჰოსი — 53,5. 4×100 გფრ — 40,2, სსრკ — 40,4. სიმაღლე ი. კაშკაროვი — 2,08, ტ. პიული — 2,05, ტ. რიბენზამი — 1,96, ი. სტეპანოვი — 1,93. სიგრძე ი. ტერეოვანესიანი — 7,53, რ. კრიუგერი — 7,34, პ. შარპი — 7,22, ე. ოზოლინი — 7,22, შუბი — ვ. კუზნეცოვი — 79,49, ხ. შენკი — 75,80, ჩ. ვალმანი — 74,09, ჰ. ვილი — 73,11. ბირთვი — ჰ. ლინგნაუ — 17,30, ვ. ლიპსნისი — 17,13, კ. ვეგმანი — 17,09, ვ. ლოშჩილოვი — 17,02.

200 მ. მ. ჰერმარი — 20,8, ა. ჰარი — 20,9, ი. კონოვალოვი — 21,5, ლ. ბარტენიევი — 21,6. 800 მ. ჰ. შმიდტი — 1.49,8, ჰ. მისალა — 1.50,8, გ. გოვოროვი — 1.51,8, ი. პიპინე — 1.52,2. 10.000 მ. ლ. მიულერი — 29.52,6, ნ. პუდოვი — 30.01,8, ჰ. პიარნაკოვი — 30.37,8, კ. ეგერი — 30.42,2. 110 მ. თარჯრბენი მ. ლაუერი — 13,8, ა. მიხაილოვი—13,9, ბ. შტეინეხი—14,6, ვ. კუზნეცოვი—14,8. 3.000 დაბრკ. ს. რეიშჩინი — 8.54,4, ხ. ჰიუნეკე — 9.10,4, — ს. პონომარიოვი — 9.14,6, ჰ. ლაუფერი — 9.33,2. 4×400 გფრ 3.14,2, სსრკ — 3.17,4. ჭოკი — ი. პეტრენკო — 4,20, ლენერტი — 4,10, ვ. ბულატოვი — 4,00, დ. მერინგი — 4,00. სამხტომი ო. რიახოვსკი — 15,68, ლ. შჩერბაკოვი — 15,61, ჰ. შტრაუსი — 14.89, გაზერი — 14,58. ბადრო ვ. ტრუსენიოვი — 54,42, კ. ბუხანცევი— 53,27, ბრიულე — 49,46, ო. ოპენპეფერი — 47,16, ურო ა. სამოცვეტოვი — 66,13, ვ. რუდენკოვი — 64,36, ვ. გლოტცბახი — 57,75, კ. ვოლფი — 55,10.

ქალთა გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ მიუნჰენში „დანტეს“ სტადიონზე. მატჩი აღინიშნა საბჭოთა მძლეოსნების აშკარა უპირატესობით, რომლებმაც პროგრამის თერთმეტსავე სახეობაში პირველი ადგილი დაისაკუთრეს. საბჭოთა მძლეოსნების გუნდმა მოიგო ეს მატჩი ანგარიშით — 81:40. ვაჟთა და ქალთა კოლექტივების კომპლექსურ ჩათვლაში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა ნაკრებმა მოაგროვა 186 ქულა, 31 ქულით მეტი, ვიდრე გერმანელმა მძლეოსნებმა.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად თ. პრესს ბირთვის კვრაში — 16,50 და ბადროს ტყორცნაში — 53,41, ბ. ზალაგაიტიტეს შუბის ტყორცნაში — 54,24, ვ. კრეპკინას 100 მეტრზე რბენაში — 11,9, ე. ერშოლაევას 800 მეტრზე რბენაში — 2.06,6 და სხვა. გერმანული გაზეთი „ზიუდეიჩე ცაიტუნგი“ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ აღნიშნავდა: „რუსებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათი ქალთა გუნდი მსოფლიოში უძლიერესია“.

საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის წინ ყველა მასშტაბის შეჯიბრება მაღალი სპორტული შედეგებით უნდა დამთავრდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპარტაკიადა ჩვენი უახლოესი მიზანია

ქუთაისში დამთავრდა რესპუბ-ლიკის ახალგაზრდული პირველობა კრივში, რომელშიც მონაწილეობ-დნენ 1937-38-39 წლებში დაბადებული მოკრივეები, რომლებმაც უნდა შეცვალონ ძველი თაობის წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადაზე.

შეჯიბრებაზე სულ 47 მოკრივე გამოდიოდა. ისინი წარმოადგენდნენ, თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს. ჩემპიონატზე მოკრივეები არ გამოიყვანა ფოთმა, რუსთავმა, სამხრეთ-ოსეთმა. მათ და ზოგიერთი წამყვანი თბილისელი მოკრივის გამოუსვლელობამ (ი. აკმურზინი, ბ. პოზინი, ი. მელაძე, პ. ხუბეკოვი, გ. ბუმბიაშვილი) მთელ რიგ წონით კატეგორიებში პირველობისათვის ბრძოლის ყინი შეასუსტა.

უმჩატეს წონაში თავი გამოიჩინა ქუთაისელმა გ. კვიცარიძემ. მან თანმიმდევრულად დამარცხა ს. იგითხანოვი (თბილისის II გუნდი), გ. აბაჯიანი (ბათუმი) და ფინალში დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოუგო თბილისის I გუნდის წარმომადგენელს რ. მუკოიანს კვიცარიძემ გამოავლინა სისწრაფე, მიზანდასახულობა კონტრშეტევის კარგი ცოდნა.

როგორც ,,მოსალოდნელი იყო, თბილისელებისათვის კარგად ცნობილმა ჯ. კვანტალიანმა ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო (მეორე რაუნდში) და უძლიერესის სახელი დაისაკუთრა. ქვემსუბუქ წონაში მეორე ადგილზე გამოვიდა ზ. ჩიქოვანი. მაღალმა ტანმა, გრძელმა ხელებმა მარჯვენა დგომმა ერთგვარი უპირატესობა მისცა ახალგაზრდა ზ. მაჭავარიანს თავის მოწინააღმდეგეებზე. მან ტაქტიკურად სწორად ააგო ბრძოლები და გაბედული მანევრის წყალობით პირველი ადგილი დაიკავა.

პირველ ქვესაშუალო წონაში თბილისელმა ვ. ფინანსოვმა დაამარცხა ი. სილაგაძე და კ. დუბინი (ბათუმი) და გამარჯვებული გამოვიდა. მეორე ქვესაშუალო წონაში პირველ ადგილზე გამოვიდა ო. ზებულაშვილი (თბილისი). მომდევნო ადგილები დაიკავეს გ. ქობალიამ (სოხუმი) და ვ. ნიკოლიანმა (თბილისი). პირველ საშუალო წონაში უძლიერესი იყო ჯ. გოგისვანიძე (ქუთაისი), რომელმაც შეუპოვარ ბრძოლაში დაამარცხა ტყვარჩელელი გ. ზაქარაია.

მოულოდნელი შედეგით აღინიშნა მჩატე და მეორე საშუალო წონის ფინალური შეხვედრის მონაწილეების ნ. ქიქავა-გ. ვარდანიანის და რ. აკოპოვ-ა. ფროლოვის ბრძოლა. პირველსავე რაუნდში ვარდანიანმა და ფროლოვმა უმიზეზოდ უარი განაცხადეს შეხვედრის გაგრძელებაზე. ასეთი არასპორტული საქციელი საზოგადოებრივ ობის მკაცრი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ქვემძიმე წონაში უძლიერესი იყო თბილისელი დ. ჩოგოვაძე. მეორე ადგილზე აღმოჩნდა სოხუმელი ბ. ნინუა. მძიმე წონაში პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისელი ი. ცვეტკოვი.

სამდღიანი ბრძოლის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს თბილისის I გუნდის წარმომადგენლებმა, მეორე ადგილი დაისაკუთრა ქუთაისის, ხოლო მესამე თბილისის II გუნდმა. ჩატარებულმა პირველობამ გვიჩვენა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გაიზარდა მოკრივეთა პლეადა, რომელსაც აქვს კარგი ტექნიკა და ტაქტიკური მომზადება. ამ ახალგაზრდა რეზერვების წყალობით მოხდება საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე ჩვენი ნაკრები გუნდის გადახალისება.

სამწუხაროდ, წინსვლა ეტყობა მოკრივეთა პატარა ჯგუფს, სპორტსმენთა ძირითადი მასა კი (პირველ რიგში აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლები) საკმაოდ შორს დგანან კრივის თანამედროვე მოთხოვნებისაგან. ხშირ შემთხვევებში მათი კრივი ქუჩურ ჩხუბს უფრო წააგავს, ვიდრე ატლეტთა შეჯიბრებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საყვედურის ღირსნი არიან ფოთის, რუსთავისა და სამხრეთ-ოსეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებმაც მოკრივეები არ წარმოადგინეს აღნიშნულ შეჯიბრებაზე. ცნობილია, რომ ამ რაიონებში მუშაობენ კრივის კარგი სპეციალისტები თავაძე, ავეტისიანი და დარახველიძე. მაშ რაშია საქმე? რატომ ვერ შეძლეს ამ რაიონებმა შეჯიბრებაში მონაწილეობა? გასაკვირია! რაც შეეხება გორსა და ჭიათურას, როგორც ჩანს, ამ ქალაქების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს ურჩევნიათ საქართველოს სპარტაკიადაზე 1959 წელს მიიღონ საჯარიმო ქულები, ვიდრე გასწიონ რაიმე მუშაობა უსიამოვნო ფაქტის თავიდან ასაცილებლად.

ა. ბაქრაძე,

საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი კრივში.

* * *

სურათზე: დ. ჩოგოვაძისა (მარჯვნივ) და სოხუმელი ბ. ნინუას ბრძოლის მომენტი.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

მხოლოდ ცალკეული მაღალი შედეგები

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის პრიზზე წყალში მხტომელთა შეჯიბრების უკანასკნელ დღეს გაიმართა ხტომები ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ქალებისა და ვაჟებისათვის. ერთმეტრიანი ტრამპლინი, პირველი შეხედვით, ყველაზე იოლი სახეობაა. მაგრამ ეს სიადვილე მხოლოდ უბრალო ხტომებს თუ შეეხება — მეორე თანრიგის ხტომებს. ხოლო როცა საჭიროა შესრულდეს ნებისმიერი ხტომები და ისიც მაჩვენებელი პირველი თანრიგის ნორმატივზე დაბლა არ უნდა ჩამოდიოდეს, ეს არც თუ ისე იოლი საქმეა, როგორც თავიდან გვეჩვენება. პატარა სიმაღლე მეტისმეტად ზღუდავს რთული ტრიალებითა და ბრუნვებით შედგენილ ხტომას.

ქალთა შორის ამ სახეობაში გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ტ. ინწკირველმა, რომელმაც მიმდინარე წლის რვა შეჯიბრებიდან ექვსჯერ უჩვენა პირველ თანრიგზე მაღალი შედეგი (სპორტის ოსტატის ნორმატივი ერთ მეტრიან ტრამპლინს არა აქვს). ამჯერად მისი შედეგია 108,20 ქულა. ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ა. ხარჩიკიანი, რომელმაც ასევე 5,40 ქულით გადააჭარბა პირველი თანრიგის ნორმას. ქალთა შორის მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ე. ნესტერენკო (92,43) და ს. ნიკიტინა (87,18), ვაჟთა შორის — ი. მიხაილოვი (98,66) და ფ. ბაგაევი (92,43).

ჯილდო მოიპოვა თბილისის ძლიერმა გუნდმა, რომელმაც 8863 ქულა მოაგროვა. დედაქალაქის მეორე გუნდმა, რომელიც კონკურსგარეშე გამოდიოდა, მოიპოვა 5288 ქულა, აჭარამ — 2969, ხოლო ქუთაისმა 966 ქულა.

როგორც ვხედავთ, წარუმატებლად გამოვიდა აფხაზეთის გუნდი, რისთვისაც მათ არავითარი გამართლება არა აქვთ, მითუმეტეს, რომ ამ გუნდში არიან კარგი მხტომელები, ისეთები, როგორიცაა მოსწავლეთა V სპარტაკიადის ჩემპიონი ო. ტკაჩენკო, დ. კინწურაშვილი, დ. აკობია და სხვ.

მეტად დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ ქუთაისში დღემდე არავინ ზრუნავს წყალში მხტომელთათვის თუნდაც ერთი სრულფასოვანი ბაზის შექმნაზე. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ კარგი მონაცემების მქონე, ნიჭიერი ქუთაისელი მხტომელების—ლ. გუბელაძის, ბ. ბერაძის, ჰ. ხუციძის, კ. ძაგნიძის, ჩ. ჯანელიძის და სხვების სპორტული მაჩვენებლები მეტად ნელა იზრდება.

აქ კიდევ ერთხელ უნდა შევჩერდეთ იმ გარემოებაზე, რომ უკვე წლების განმავლობაში რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე მონაწილეობას არ იღებს ფოთის კოლექტივი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქს ყველა ხელსაყრელი პირობა აქვს წყალში ხტომის განვითარებისათვის.

დაბოლოს, გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ შეჯიბრებაზე მოპოვებული მაღალი შედეგები მხოლოდ ერთეული მიღწევებია. როგორც ვაჟთა, განსაკუთრებით კი ქალთა შორის წყალში მხტომელთა მომზადების საერთო დონე ვერავითარ შემოხვევაში ვერ დააკმაყოფილებს დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ჩვენს რესპუბლიკას.

ვ. ინწკირველი

რაჭიმ გამორჩათ ეროვნული სახეობები?

ზუგდიდის იპოდრომზე დამთავრდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში. „გახსნის პრიზზე“ გამართულ შეჯიბრებაში ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა ცხაკაიელმა ა. მაისაიამ (ცხენი „ზელიმხანი“), რომელსაც არცერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია. 4-4 საჯარიმო ქულა ჰქონდათ მომდევნო ადგილებზე გამოსულ ზუგდიდელ ვ. ჯგერენაიას (ცხენი „ზაურბეგი“) და გუდაუთელ ნ. არძინბას (ცხენი „სალამი“). სამაგიეროდ არძინბამ მოიგო „სოფლის ცხენოსანთა თასი“.

სოხუმელ ო. ხაინდრავას არა ერთხელ უსახელებია თავი დღეში დაბრკოლებებით, ახლაც მისმა „პატეფონმა“ ორკილომეტრიანი დისტანცია — 3.51,2-ში დაფარა და პირველობა მოიპოვა. ა. ნაროშვილმა (ცხაკაია) „ტუბეროზათი“ დაიკავა მეორე ადგილი.

სამ კილომეტრზე დაბრკოლებებით ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ სოხუმელი ა. მოხერი (ცხენი „გერანი“), ცხაკაიელი ი. გოგია (ცხენი „პრიმა“) და გუდაუთელი ს. ჩანბა (ცხენი „ასპექტი“). ჩანბამ მხოლოდ უკანასკნელ წრეზე მიუშვა სადავე მერანს, რომელმაც იგრძნო რა თავისუფლება, საგრძნობლად უმატა ტემპს და 3 წამით ადრე დაამთავრა შეჯიბრება ვიდრე მოხერის „გერანმა“, რომლის დროა 4.16,0. გლუვი დოღი 2 და 3 კილომეტრზე მოიგეს ზუგდიდელმა ვ. დარასელიამ (ცხენი „ბეზპრიმენა“) — 2. 38, 6 და ჯ. მატახერიამ (ცხენი „მარკა“) — 4. 24, 4.

პირველთანრიგოსანმა ო. ხაინდრავამ კიდევ ერთი პირველი ადგილი მოიპოვა ამ შეჯიბრებაზე მარულაში 8 კილომეტრზე. გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულები გამოვიდნენ ზუგდიდელი ცხენოსნები, მომდევნო საპრიზო ადგილები წილად ხვდა გუდაუთელ და სოხუმელ მხედრებს.

შეჯიბრება მართალია, კარგად იყო ორგანიზებული — ქალაქში დროულად გამოაკრეს აფიშები, წესრიგში იყო მოყვანილი იპოდრომი და სხვ. მაგრამ ტრიბუნები ასე ცარიელი არასოდეს ყოფილა ზუგდიდის იპოდრომზე. იქნება აღარ აინტერესებთ აქაურებს ცხენოსნობა? არა. მაყურებელთა ეს დაუინტერესებლობა აიხსნება მხოლოდ შეჯიბრების პროგრამით.

როცა „კოლმეურნის“ რაისაბჭოებმა ცხენოსნობაში ცენტრალური საბჭოს პირველობის დებულება მიიღეს, ყველას ეგონა, რომ პუნქტში „შეჯიბრების პროგრამა“ გამორჩენილი იყო ნაციონალური სახეობები, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა დებულების შემდგენლებს სპორტის ეს საინტერესო სახეობები, რომელიც მეტად იზიდავს მაყურებელს, მხედველობიდან კი არ გამორჩენათ, არამედ შეგნებულად აუქცევიათ გვერდი. ვინაიდან სოფლის ცხენოსანთა საკავშირო შეჯიბრების პროგრამით არ არის ნაციონალური სახეობები გათვალისწინებული, ამიტომ აქაც ზედმეტად ჩათვალეს. აი მიზეზი თუ ოატომ იყო ცარიელი ზუგდიდის იპოდრომის ტრიბუნები.

ასეთმა მდგომარეობამ შეამცირა მონაწილეთა რიცხვიც. სტარტზე მხოლოდ ექვსი გუნდი გამოცხადდა. მაგრამ მარტო ზემოთ აღნიშნულით ნუ ახსნიან შეჯიბრებაზე გუნდების გამოუყვანლობას აბაშის, ხობის, გეგეჭკორის, გალის, ოჩამჩირის, ჩხოროწყუს, სიღნაღის, ქობულეთისა და ფოთის რაისაბჭოები. მათ უმეტესობას კლასიკურ სახეობებშიც ძლიერი მხედრები ჰყავთ, მაგრამ დაუდევრობის, ღონისძიების უგულებელყოფის გამო არ ინებეს თავის შეწუხება.

განსაკუთრებით საყვედურის ღირსნი არიან ქობულეთელები, რომლებსაც კარგი ტრადიციები ჰქონდათ, არა ერთხელ გამოსულან საპრიზო ადგილებზე რესპუბლიკაში. უკანასკნელ პერიოდში მათ დაკარგეს დაკავებული პოზიციები, ჯიშიანი ცხენები უყურადღებობით განადგურდა ან კოლმეურნეობებს გადაეცა ყოველდღიურ სახმარად. უფრო მეტიც, რაიონული იპოდრომი გადახნეს.

ო. ივდოშვილი

კროსის ტრასაზე

ლისის ტბის მიდამოებში „განთიადმა“ ჩაატარა პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი, რომელსაც წინ უძღოდა ღონისძიებები ძირეულ კოლექტივებში. ფინალური შეჯიბრების პროგრამაში იყო რბენები გოგონებისათვის 500, ჭაბუკებისათვის 1000 მეტრზე, ქალებისათვის 2000 და მამაკაცებისათვის 8000 მეტრზე.

გოგონათა შორის გაიმარჯვა ფეხსაცმლის №1 ფაბრიკის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოსწავლემ ა. ანდრეევამ 1.41.0. ჭაბუკთა შეჯიბრება მოიგო საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის წარმომადგენელმა ა. ქობალიამ — 2.49,0. 2 კილომეტრზე რბენაში ფინიშთან ყველაზე ადრე მივიდა ლ. კირჩენკო (26 კომ. სახ. რაიონი). 8-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა მისმა თანაგუნდელმა ლ. არუთინოვმა — 30.54,8.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა 26 კომ. სახ. რაიონმა.

პ. სვანიძე

ზ. მაჩხანელი — ჩემპიონი

სოხუმში წელს პირველად ტარდება საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სასტენდო სროლაში. მონაწილეობს აფხაზეთის, აჭარის, მახარაძის, ქუთაისის, საქართველოს მონადირეთა კავშირისა და ამიერკავკასიის საოლქო სამონადირეო საზოგადოების ნაკრები გუნდები.

გათამაშება დაიწყო ადგილიდან სროლით. პირველი სერიიდან შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგნენ სპორტის ოსტატები ვ. ჯაბახიძე, ბ. ანტონოვი, ზ. მაჩხანელი, რომლებმაც შესაბამისად დააზიანეს პირველმა 24, ხოლო მომდევნო ორმა 23 სამიზნე თვითეულმა, პ. სარქისოვმა (ამიერკავკასიის საოლქო სამონადირეო საზოგადოება) პირველი სერია სუფთად გაიარა. მეორე სერიაში მაჩხანელმა თავის შედეგი ერთი ქულით გააუმჯობესა, პ. სარქისოვმა კი ერთი ქულით გააუარესა. ბ. ანტონოვმა კვლავ დააზიანა 23 სამიზნე, ხოლო ვ. ჯაბახიძემ შესძლო მხოლოდ 20 სამიზნის დაზიანება. ბრწყინვალედ ესროლა მესამე და მეოთხე სერიებში სპორტის ოსტატმა ზ. მაჩხანელმა (თბილისი „მონკავშირი"), რომელმაც მხოლოდ ერთს ააცილა, საერთო ჯამში 100 შესაძლებლიდან დააზიანა რა 96 თეფში პირველობას სათავეში ჩაუდგა. მას მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩა სპორტის ოსტატი ბ. ანტონოვი.

ზ. მაჩხანელმა მეორე დღესაც 96 სამიზნე დააზიანა. ამ დღეს თავი გამოიჩინა სპორტის ოსტატმა გ. მეგრელაძემ (მახარაძე), რომელმაც გაიმეორა სპორტის ოსტატის ნორმა და ლიდერთა ჯგუფში შევიდა. გუნდური პირველობა სროლის ამ სახეობაში მოიპოვა ამიერკავკასიის სამონადირეო საზოგადოების გუნდმა, რომელმაც მოაგროვა 716 ქულა 800 შესაძლებლიდან. მეორე ადგილზეა აფხაზეთის გუნდი, რომელიც გამარჯვებულს 21 ქულით ჩამორჩა.

პირველობის მესამე დღეს გამოირკვა საქართველოს ჩემპიონი ადგილიდან სროლაში. ეს იყო ზ. მაჩხანელი.

წარმატებით გამოვიდა ამ პირველობაზე 18 წლის ვ. ლავრინენკო. მან 95 სამიზნე დააზიანა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. კვლავ გვასახელა მსროლელმა ქალმა ე. მელიქიშვილმა, რომელმაც გაიმეორა საქართველოს რეკორდი, დააზიანა 92 სამიზნე 100 შესაძლებლიდან და ექვსი ქულით გადააჭარბა სპორტის ოსტატის ნორმას.

შეჯიბრება გრძელდება...

ჯ. მოწონელიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

პირველი საერთაშორისო მატჩი წყალბურთში

„დინამო" (თბილისი) — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები



ქართველ და გერმანელ წყალბურთელებს არც თუ ისე დიდი ხნის მეგობრობა აქვთ. ისინი მხოლოდ რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს, ჯერ მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში, ხოლო შემდეგ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც მიმდინარე წელს სტუმრად იყვნენ საქართველოს წყალბურთელები. ყველა შეხვედრა დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის გუნდის გამარჯვებით. მაგრამ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ ნაკრებთან მატჩი რომელიც 26 სექტემბერს თბილისში მოეწყო, დინამოელთა დებიუტი იყო ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან, რომელმაც ახლახან დამთავრებულ კონტინენტის პირველობაზე საპატიო მეხუთე ადგილი დაიკავა — უკან ჩამოიტოვა ინგლისის, ავსტრიის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების გუნდები.

ევროპის პირველობის შემდეგ გერმანელი სპორტსმენები ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელებს ესტუმრნენ. ეს ქართველ და გერმანელ სპორტსმენთა მეგობრული სპორტული ტრადიციის გაგრძელება იყო. საერთაშორისო მატჩმა თბილისელ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზის ტრიბუნები მატჩის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე აავსო ასობით მაყურებელმა.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ, როცა შეხვედრის მსაჯმა თბილისელმა კ. იოგანმა მატჩის დაწყების ნიშანი მისცა, ორივე გუნდი პირველი ბურთის ხელში ჩასაგდებად სწრაფად დაიძრა ცენტრისაკენ. ბურთთან ადრე მიიჭრა გერმანელი და უკან გადააწოდა თავის პარტნიორს. ასე დაიწყო ეს მეტად საინტერესო საერთაშორისო მატჩი.

ამ მატჩის შესახებ ერთ-ერთმა მაყურებელმა სამართლიანად შენიშნა: სულ რამდენიმე სანტიმეტრით გერმანელთა კარი რომ გრძელი და მაღალი ყოფილიყო, სტუმრები ძალზე დიდი ანგარიშით წააგებდნენ შეხვედრასო. მართლაც, გერმანელთა კარი 8-ჯერ გადაარჩინა კარის ძელმა, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო მეკარე გ. ბეკერმა. გერმანელი წყალბურთელები პირველ წუთებში თითქოს უკეთ გამოიყურებოდნენ მეტოქესთან შედარებით, ხშირ შემთხვევაში ოსტატურად უკან იტოვებდნენ თბილისელებს და რიცხობრივ უპირატესობას ქმნიდნენ მათ კართან, მაგრამ დინამოელები საიმედოდ კეტავდნენ თავიანთი კარის მისადგომებს.

სტუმრების მთავარი საზრუნავი ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრის ნ. გვახარიას „ჩაკეტვა" იყო. ამ ამოცანას ისინი ზოგ შემთხვევაში წარმატებით წყვეტდნენ. ნ. გვახარიას ხშირად ორი წყალბურთელი ედგა, როცა იგი პარტნიორისაგან ბურთის გადაცემას ელოდა. ამით საშუალება ეძლეოდა მცველ ჩაჩავას ღრმა რეიდი განეხორციელებინა და სტუმრების კარის აღების საშიშროება შეექმნა.

პირველი ბურთი გერმანელებმა გაიტანეს. ი. ტილმა უძლიერესი ტყორცნით გახსნა ანგარიში — 1:0. შემდეგ სტუმრები 4-მეტრიანი საჯარიმო ტყორცნით დაჯარიმდნენ, რაც კარგად გამოიყენა ნ. გვახარიამ — 1:1. ანგარიში გათანაბრდა და დინამოელებმა უფრო მეტი სიმძაფრით შეუტიეს მოწინააღმდეგეს, გერმანელთა კარს აღებით ემუქრებოდნენ არა მარტო ნ. გვახარია და ი. ჩხიკვაძე, არამედ კ. ავანესიანი, ვ. ბართაევი, ზ. ჩაჩავა და გ. ჩიქვანაია.

...თბილისელები იერიშზე გადავიდნენ. მოწინააღმდეგემ სწრაფად გადააჯგუფა ძალები და მჭიდროდ ჩაკეტა ნ. გვახარია. მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ზ. ჩაჩავა, ვ. ბართაევი, ი. ჩხიკვაძე. თუმცა ამ უკანასკნელმა მაინც მიიღო ბურთი და ოსტატურად გადასცა კ. ავანესიანს, რომელიც თავისუფალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ძლიერი ტყორცნა... კარის მაღალ კუთხეში აღმოჩნდა ბურთი (2:1). სტუმრებმა თამაში ცენტრიდან დაიწყეს. მალე ი. ჩხიკვაძემ კვლავ კარგად მიაწოდა ბურთი ... შევანა კარის სიახლოვეს ზ. ჩაჩავა და ანგარიში გახდა 3:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ გერმანელმა წყალბურთელებმა კარგად გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა (მსაჯმა ბურთის გატანამდე აუზიდან გააძევა ჩხიკვაძე) და დ. ფოსმა შეძლო ერთი საპასუხო ბურთის გატანა — 3:2.

დარჩენილ დროში ზ. ჩაჩავამ კიდევ ერთი ბურთით გაზარდა ანგარიში და საერთაშორისო მატჩი წყალბურთში, რომელიც თბილისში პირველად ჩატარდა, მოიგო „დინამომ" — 4:2.

* * *

მეგობრულ შეხვედრებში მონაწილე გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: გდრ — გიუნტერ ბეკერი, იურგენ ტილი, ზიგფრიდ ბალერშტედტი, ვილჰელმ შმიდტი, კლაუს შულცე, კარლ-ჰეინც შრეკი, დიტერ ფოსი.

„დინამო" ლ. გოგოლაძე, ზ. ჩაჩავა, კ. ავანესიანი, ვ. ბართაევი, გ. ჩიქვანაია, ნ. გვახარია, ი. ჩხიკვაძე.

გუშინ სტუმრების წინააღმდეგ თამაშობდნენ თბილისის „ბურევესტნიკის" წყალბურთელები. გაიმარჯვეს გდრ-ს სპორტსმენებმა — 6:5.

ზ. ჯანდიერი

სურათზე: თბილისელი გ. ჩიქვანაია იღებს ბურთს.

საქართველოს პირველობის I ჯგუფის გუნდების გათამაშების ცხრილები

I ჯგუფის I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ტტს თბ.	18	12	4	2	44:20	28
„დინამო" სოხუმი	18	10	4	4	48:18	24
„დინამო" ქუთაისი	18	10	3	5	43:37	23
„მეტალურგი" რუსთავი	18	9	4	5	35:23	22
ფიზკულტურის ინსტ. თბილისი	18	8	6	4	27:18	22
„სპარტაკი" სტალინირი	18	6	4	8	29:32	16
„სპარტაკი" თელავი	18	7	1	10	35:60	15
„განთიადი" გორი	18	3	5	10	9:33	11
ახ. ფეხ. სკ. თბილისი	18	4	2	12	23:25	10
„კოლმეურნე" ქობულეთი	18	2	5	11	10:37	9

* * *

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო" ქუთაისი	18	9	7	2	28:16	25
„დინამო" ბათუმი	18	7	10	1	22:12	24
„კოლმეურნე" მახარაძე	18	10	3	5	25:18	23
„კოლმეურნე" ლანჩხუთი	18	8	6	4	27:20	22
„მაღაროელი" ჭიათურა	18	6	6	6	27:32	18
„სხივი" რუსთავი	18	5	7	6	24:14	17
26 კომ. სახ. რაიონი	18	5	5	8	21:32	15
„ლოკომოტივი" სამტრედია	18	5	4	9	21:25	14
„ვოდნიკი" ფოთი	18	4	5	9	21:25	13
„ოდიში" ზუგდიდი	18	2	5	11	15:37	9

ფეხბურთის მოედნებზე

„სსრ კავშირის თასი"

1. „კრ. სოვეტ." კბ.
2. „ლოკომოტივი" მ.
3. „ზნამია ტრუდა" ორეხოვო ზუევო
4. „მოლოდოია" კ.
5. „ადმირალტეეცი" ლდ.
6. „დინამო" თბ.
7. „შახტიორი" სტ.
8. „ტორპედო" მ.
9. „დინამო" კ.
10. „სპარტაკი" მ.
11. „ლოკომოტივი" კრ-იარსკი
12. „ზენიტი" ლდ.
13. „პახტაკორი" ტშ.
14. სკა ლვოვი
15. ცსკმო
16. „დინამო" მ.

„ლოკომოტ." 3:0

* * *

თასის გათამაშების დებულების თანახმად მატჩები გაიმართება იმ მოედნებზე, რომლებიც პირველადაა დასახელებული. მეოთხედფინალური შეხვედრები ჩატარდება 11 ოქტომბერს, ნახევარფინალები — 24-25 ოქტომბერს, ხოლო ფინალი — 29 ოქტომბერს, მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

მიეძღვნა სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავს

როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს სპორტული საზოგადოებრიობამ აღნიშნა სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიუძღვნა „კოლმეურნეს" ცენტრალურმა საბჭომ ძირეულ ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება, დააწესა სპეციალური თასი.

ჯილდოს მოპოვებისათვის გამართული საინტერესო ასპარეზობაში ჩაება რესპუბლიკის სასოფლო ფიზკულტურული კოლექტივების 44 გუნდი. გათამაშება მიმდინარეობდა გამოთიშვის სისტემით (ერთი წაგების შემდეგ). ტერიტორიული პრინციპის მიხედვით გუნდები დაყოფილი იყო ოთხ ზონად. გამარჯვებულნი ერთმანეთს ხვდებოდნენ ნახევარფინალურ და ფინალურ თამაშებში.

პირველ ზონაში, 9 გუნდს შორის პირველი ადგილი დაიკავა ადიგენის გუნდმა; მეორე ზონაში გამარჯვებულები გამოვიდნენ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელები. მესამე ზონაში 10 გუნდს შორის პირველი იყო ბათუმის რაიონის ჯინჭარაძის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი, ხოლო მეოთხე ზონაში — აბაშის რაიონის წარმომადგენლები.

ნახევარფინალურ თამაშებში ერთმანეთს შეხვდნენ ბათუმისა და აბაშის, აგრეთვე გურჯაანისა და ადიგენის რაიონების გუნდები, რომელთა შეხვედრები დამთავრდა ბათუმელთა და ადიგენელთა გამარჯვებით. მეტად საინტერესო გამოდგა ადიგენში ჩატარებული ფინალური მატჩი. შეხვედრა დამთავრდა ბათუმელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

თამაშის დამთავრების შემდეგ, „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. კინწურაშვილმა საზეიმო ვითარებაში თასი გადასცა გამარჯვებულებს, ხოლო სიგელი ფინალში გასულ ადიგენელებს.

ნ. სომხიშვილი.
გათამაშების მთავარი მსაჯი.

ამიერკავკასიის ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა. ა. ვეფხვაძის ნახატი — „სპორტსმენი გოგონები“.
ფოტორეპროდუქცია ვ. აბაშიძისა.

ფიდე-ს კონგრესის შედეგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუბროვნიკში — ადრიატიკის ზღვის სანაპირო კურორტზე — გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფ ი დ ე) კონგრესი, რომლის მუშაობაში საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას ღებულობდნენ ვ. ალატორცევი, ს. ფლორი და მ. იუდოვიჩი.

ამ კონგრესმა გააფართოვა ფ ი დ ე-ს შემადგენლობა, რომელიც ახლა ან ეროვნულ ფედერაციას აერთიანებს. ახალ წევრებად მიღებულ იქნენ ტუნისი, პაკისტანი და მონაკო. საინტერესო ფაქტი მოხდა ამ უკანასკნელის ფედერაციაში მიღებისას — საფრანგეთის წარმომადგენელმა ეკვის ქვეშ დაიყენა მონაკოს მოჭადრაკეთა მცირეოცდოვანი კავშირის ფედერაციად აღიარების შესაძლებლობა და წინადადება შეიტანა ისინი საფრ. ნგეთის ფედერაციაში ჩაერიცხათ. აქ ვიღაცამ იხუმრა, რომ თვით საფრანგეთში ისე სუსტადაა განვითარებული ჭადრაკი, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა პირიქით — ფრანგი მოჭადრაკეები შეერთებოდნენ მონაკოს ფედერაციას. მაგრამ, ვინაიდან საფრანგეთიც და მონაკოც დამოუკიდებელი სახელმწიფოებია, ფრანგებიც „გადარჩნენ“ საჭადრაკო „შიწის პირიდან აღგვას“ და მონაკოელებიც.

კონგრესმა გროსმაისტერის წოდება დაუმტკიცა ისლანდიელ ფ. ოლაფსონს, მაგრამ „ეროვნული ნიჭიერ“ ამავე წოდების „მაძიებელთ“ — გერმანელ ლ. შმიდტსა და კანადელ დ. იანოვსკის, ვინაიდან მათ მიერ მოპოვებული შედეგები არ იძლეოდა საკმაო საფუძველს საამისოდ.

ცხარე დავა გაიმართა, თუ სად უნდა ჩატარებულიყო პრეტენდენტთა მორიგი ტურნირი, მაგრამ მოდავეებმა მაინც ვერ მიაღწიეს შედეგს. იუგოსლავიის წარმომადგენელმა ორეოფოფულად განაცხადა, რომ მისი თანამემამულეები დიდი სიამოვნებით მიიღებდნენ სტუმრებს, მაგრამ... არა აქვთ ფული. იუგოსლავიის ფედერაცია ალბათ ჯერ კიდევ პორტოროოუის ტურნირის შედეგებს უცდიდა: რა ინტერესი ექნება ტურნირს, თუ მასში იუგოსლაველები არ მიიღებენ მონაწილეობას? ასეთი აზრი უფრო გულახდილად გამოთქვა ისლანდიის წარმომადგენელმა: თუ ოლაფსონი მოხვდება პრეტენდენტთა შორის, რეიკიავიკის კარები ფართოდ გაიღება მოჭადრაკე სტუმრებისათვის.

ბიკოვასათვის მეტოქის გამოძებნის თაობაზე ფ ი დ ე-ს პრეზიდენტმა ფ. როგარდმა ასეთი შეკითხვა მისცა ბელგიელ და იტალიელ მილიონერებს დირმანსა და დალ ვერმეს:

— იქნებ თქვენ მიიღებდით მანდილსნებს თქვენს სამშობლოში?

— არა, ჩვენ ღარიბები ვართ, ფული არა გვაქვს.

კონგრესმა განიხილა თამაშის წესებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი და ამასთან, უარეო პორტოროოუის ტურნირის მონაწილეთა თხოვნა იმის შესახებ, რომ პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილეთა რიცხვი გაიზარდოს ათამდე ან თორმეტამდე. სამაგიეროდ, ფ. როგარდმა აცნობა კონგრესს, რომ მას, მინიჭებულ უფლებათა შესაბამისად, განზრახული აქვს პრეტენდენტთა ტურნირს დაუმატოს მე-8 მონაწილე, რომელიც იქნება პორტოროოუის ტურნირში მე-6 ადგილზე გამოსული მოჭადრაკე.

დასასრულ, კონგრესმა მოახდინა არჩევნები. საბჭოთა მხრიდან ვიცეპრეზიდენტად არჩეულია კვლავ ვ. რაგოზინი. პრეზიდენტის სავარძელზე დარჩა ფ. როგარდი.

ლაშქრობა

კომკავშირის მე-40 წლისთავს მიუძღვნა ტურისტული ლაშქრობა ზესტაფონის რკინიგზის № 16 საშუალო სკოლამ მარშრუტით: ზესტაფონი - ცხრაწყარო-კიკნაველეთი-მაიაკოვსკი-საირმე. ლაშქრობაში მონაწილეობდა 20 მოსწავლე. მათ ფეხით 100 კილომეტრამდე გაიარეს, გადალახეს რამდენიმე მთა, მდინარე ხევი და კარგი სალაშქრო მომზადება გამომაქლავნეს.

ს. ბალახაძე

დამთავრდა ჯერისჯული სეზონი

16 სექტემბერს ბაკურიანის ტურისტთა ბაზამ დამთავრა ზაფხულის ტურისტული სეზონი. ზაფხულის განმავლობაში ბაზა მოემსახურა 2.350 კაცს. 64-ე მარშრუტის ტურისტთაგან მომზადებულ იქნა 307 ნიშნოსანი — „სსრკ ტურისტი“ (მე-80 მარშრუტის ტურისტები ნიშნებს ღებულობენ ქუთაისში).

გ. თომაევი

რატომ გაიფიცნენ ფეხბურთელები

არგენტინის ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელმა კარმოზამ ერთ-ერთი სამარცხვინო წაგების შემდეგ სასტიკად დასაჯა თავისი გუნდის წევრები. მან გუნდის მთელ შემადგენლობას მიუსაჯა ორი დღის შინაპატიმრობა და შემდეგ უფასოდ ამუშავა ისინი ორი დღის განმავლობაში კლუბის სასარგებლოდ შავ სამუშაოზე. ყველაზე მძიმედ დაისაჯა ცენტრალური თავდამსხმელი, რომელზეც მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებდა და რომელმაც სამ უკანასკნელ თამაშში ვერც ერთი ბურთის გატანა ვერ შეძლო. ცენტრფორვარდს მიესაჯა: მუხლებზე დაჩოქილს 5.000-ჯერ დაეწერა — „ცენტრთავდამსხმელმა უნდა შეძლოს ბურთის გატანა მოწინააღმდეგის კარში“. მწვრთნელი-დიქტატორი არც ამით დაკმაყოფილდა. რამდენიმე დღის შემდეგ მან მოინდომა ცუდი მაჩვენებლებისათვის ერთ-ერთი მოთამაშის გაწყეპვლა. გუნდი შეურაცხყო ასეთმა სასჯელმა და გაიფიცა. როგორც ჩანს, გაფიცვა ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც პროფესიონალ ფეხბურთელებს შეუძლიათ საკუთარი ტყავის დაცვა.

ფეხბურთელი ქალები

ცნობილია, რომ უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს კლუბები, სადაც ფეხბურთს თამაშობენ ქალები. ეს, რა თქმა უნდა, ხდება არა იმიტომ, რომ ფეხბურთი სასარგებლოა ქალთათვის. ეს გართობის ერთგვარი საშუალებაა.

ამას წინათ ნეაპოლში შეიქმნა ფეხბურთელ ქალთა კლუბი. მცირე ხნის წვრთნის შემდეგ ეს გუნდი შეხვდა ჩრდილოეთ იტალიის ქალთა ნაკრებ გუნდს.

თამაში საკმაოდ უხეშ ფორმებში მიმდინარეობდა. რამდენიმე „ფეხბურთელმა“ მძიმე ტრავმა მიიღო.

სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებიდან

შეჯიბრების ხინლოცვა

კამბოჯაში თანამედროვე სპორტულ სახეობათაგან ყველაზე მეტად მისდევენ ფეხბურთს, კალათბურთს, ფრენბურთს, ცურვასა და ჩოგბურთს. ეროვნულ სპორტულ ვარჯიშთაგან ყველაზე მეტად პოპულარულია კრივი. შუხვედრა კრივში მიმდინარეობს ჩვეულებრივ რინგზე. რაუნდების რაოდენობა 6-ია (თვითეული 3-3 წუთის ხანგრძლიობით). განსხვავება არც სპორტულ ინვენტარშია — ბრძოლა ხდება ხელთათმანებით. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ზოგიერთი წესი. როგორც კი მოწინააღმდეგენი საბრძოლო რინგზე აღმოჩნდებიან, გაისმის მუსიკა, რომელიც არ წყდება დასასრულის მაუწყებელ გონგამდე. ბრძოლის მონაწილეებს აქვთ უფლება ბრძოლის დაწყებამდე ილოცონ. ლოცვის ხანგრძლივობა არაა განსაზღვრული. მოკრივეები ჯერ შესთხოვენ რომელიმე ღმერთს დახმარებას გამარჯვებაში, შემდეგ იმავე თხოვნით მიმართავენ მშობლებსა და ნათესავებს და ბოლოს, შეჯიბრების საყურებლად თავმოყრილ საზოგადოებას.

ზატოპკოვას უკანასკნელი გამოსვლა

პოლონური გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“ იუწყება, რომ ევროპის ორგზის ჩემპიონი, XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი შუბის ტყორცნაში დანა ზატოპკოვა (ჩეხოსლოვაკია) აღარ მიიღებს მონაწილეობას შეჯიბრებებში. ამის შესახებ დ. ზატოპკოვამ ოფიციალურად განაცხადა სტოკჰოლმში ახლახან დამთავრებული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ.

ინტერესს იწვევს ცნობა იმის შესახებ, რომ დანა ზატოპკოვა და მისი მეუღლე ემილ ზატოპეკი დაბადებული არიან ერთ წელიწადს, თვესა და დღეს.

ციფრები, ციფრები...

როგორც ცნობილია, ესპანეთში, მექსიკაში, პორტუგალიაში, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ბრძოლა ხართან.

ერთ-ერთმა ესპანელმა ჟურნალისტმა გამოითვალა, რომ 1957 წლის განმავლობაში ტორეადორებმა დახოცეს 22.630 ხარი, მაგრამ 20 მათგანი თვითონ შეეწირა ამ ბრძოლას.

კარგი დასაწყისი

20-25 სექტემბერს „განთიადის“ სპორტულ მოედნებზე მიმდინარეობდა სახ. ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის სპორტსმენთა შეჯიბრება ფრენბურთში.

ხუთი დღის დაძაბული ბრძოლის შედეგად გამარჯვებული გამოვიდა და გარდამავალი თასი მოიპოვა ქუთაისის გუნდმა, მეორე ადგილი წილად ხვდა სამტრედიის, მესამე — ლაგოდეხის გუნდებს.

სახ. ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ფიზკულტურელთა ეს ასპარეზობა კარგი წამოწყებაა ამ უწყების მუშა-მოსამსახურეთა შორის მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლისათვის.

გ. კოგანიძე

გასწორება

ჩვენი გაზეთის 25 სექტემბრის ნომერში პირველ გვერდზე მოთავსებული წერილის — „წინადადება საქმიანია, დაგუჭიროთ მხარი მას!“ პირველ სვეტში შამპანური კომბინატის მაგიერ უნდა იხსენიებოდეს კონიაკის ქარხანა.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი, თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები რედაქტორის 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06610